პროექტის „ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია“ ფარგლებში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის გახსნა (ზუგდიდი, სოფ. ინგირი, 30 მაისი)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის პარტნიორობითა და აქტიური თანამშრომლობით არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოს SOS ბავშვთა სოფელმა 2017 წლის ივნისში შეიმუშავა საპროექტო განაცხადი, რომელიც განსახილველად წარედგინა ავსტრიის სპორტის სამინისტროს. პროექტის მთავარი მიზანი იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში, დევნილთა ჩასახლებაში (ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობა) სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც ითვალისწინებდა სპორტული მოედნების (კალათბურთისა და ფეხბურთის) მოწყობას, ასევე, სავარჯიშო ინვენტარით აღჭურვას. დონორი ორგანიზაციის მოთხოვნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იყო პროექტის მოსარგებლეები ყოფილიყვნენ იძულებით გადაადგილებული პირები.

ავსტრიის სპორტის სამინისტრომ დადებითად შეაფასა წარდგენილი პროექტი. პროექტის გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ტერიტორიაზე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია იქ მცხოვრები დევნილებისთვის ბავშვების მიერ ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვისა და განმტკიცების ხელის შეწყობის კუთხით.

2018 წლის 30 მაისს ივნისს ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის მხარდაჭერითა და თანამშრომლობით არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოს „SOS ბავშვთა სოფელმა“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №2 საჯარო სკოლაში პროექტის „ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია“ ფარგლებში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი (სპორტული და სათამაშო მოედნები) გახსნა.